

სიგანი ჯიქია

18-ე საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქროს ხინის შესახებ¹

ქვემოთ გამოქვეყნებული მასალა შეიცავს ერთი თურქული დოკუმენტის ტექსტს, ქართულ თარგმანსა და შესაბამის ფილოლოგიური ხასიათის შენიშვნებს. დოკუმენტი დაკუთვნილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის თურქულ კოლექციაში Tur. d. № 270 შიფრით. ზომით საბუთი ძალიან დიდია: სიგრძე — 147 სმ., სიგანე — 50,1 სმ. საბუთი დაწერილია უკვირნიშნო და ოდნავ მოყვითალო ფერის სქელ ქაღალდზე, რომელიც ამჟამად რესტავრირებულია. Verso გვერდზე შუა ადგილას მოყვანილია საბუთის დაწერის შექდები თარიღი², რომელიც ნაწერია უნიშნო ნასხით: *تحريراً شهر رجب الفرد سنة احدى و سبعين و مائة و الف*, რაც ნიშნავს: „დაიწერა ათას ას სამოცდათერთმეტი წლის განმხოლოებული“ რეჯების თვეს“. ჩვენი წელთაღრიცხვით ეს არის დრო 1758 წლის მარტის 11-დან აპრილის 9-მდე (ამ შემთხვევაში თვის რიცხვი აღნიშნული არ არის; ჰიჯრის წელთაღრიცხვაში რეჯები VII თვეა, რომელიც 1171 წელს ჩვენი 1758 წ. მარტის 11-ს დაიწყო და გათავდა 9 აპრილს). ჩვენი საბუთის აგრეთვე verso გვერდზე მარჯვენა ბოლოში მოიპოვება კიდევ ასეთი მინაწერი: *کتخدای حضرت حیدر عالی* და კიდევ იგივე თარიღი, უკვე რიცხვნიშნებით გამოხატული: 1171 წელი და საერთოდ — ნიშნით რომ აღინიშნება³ *رجب* - ის თვის, თითქოს, 9 რიცხვი. ე. ი., ქართულად რომ ვთარგმნოთ: „უფალი ჰაიდარის მოურავეი 'ალწ. 1171 წლის 9 რეჯები“. ჩვენი წელთაღრიცხვით ეს იქნება 1758 წლის 19 მარტი. ამრიგად, საბუთის დაწერის თარიღი აქ უფრო დაზუსტებულადაა წარმოდგენილი,

¹ მოხსენდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქოლოგიის კათედრის ლია სხდომას 1959 წლის 26 დეკემბერს.

² ცოტათი ქვემოთ მოგახსენებთ. ოატომაა საბუთის დაწერის თარიღი verso გვერდზე და არა ტექსტში, რომელიც recto-ზე თავდება.

³ *رجب الفرد* (رجب الفرد) ამ შემთხვევაში თვის სახელის რეჯები-ის ნართაული სახელია, რომელსაც მე ქართულად „განმხოლოებულ“-ად ვთარგმნი. ამის შესახებ იხ. Fr. Kraelitz, *Osmanische Urkunden in türkischer Sprache aus der zweiten Hälfte des 15. Jahrhunderts*. ვენა, 1921, გვ. 32

⁴ იხ. Fr. Kraelitz, იგივე ნაშრომი, იქვე: აგრეთვე: A. Zajaczkowski, J. Reychman, *Zarys dyplomatyki osmansko-tureckiej*. Warszawa, 1955, გვ. 70

რადგანაც ზემოაღნიშნულ დათარიღებაში თვის (რეჯების) რიცხვი ნაჩვენებია არ არის. ამავე verso გვერდზე მოყვანილი მინაწერის მარჯვნივ არის აგრეთვე ორი ხელრთვა (ერთი მათგანი საკმაოდ გადასულია), რომელთა გაოჩევა ამჟამად არ მოხერხდა.

ანრიგად, წარმოდგენილი დოკუმენტი დაწერილია 1758 წლის 19 მარტს. მაგრამ თვით დოკუმენტის ტექსტში ჩვენ სხვა თარიღი გვაქვს. ჰიჯრის 1170 წლის რებო: ულ-ახირის მე-7 დღე. რაც ჩვენებურად უდრის 1756 წლის 30.XII-ს. საქმე იმაშია, რომ სულთან ოსმან III-ეს (1754-1757) ამ დროს. ე. ი. 1756 წლის 30.XII-ს, დოკუმენტში მოხსენებული მამული სამემკვიდრეოდ უბოძებია ვინმე სულეიმან ესადისათვის. მაგრამ ახლა ტახტზე ასულა ახალი სულთანი მუსტაფა აჰმედის-ძე (1757-1774), რომელმაც არსებული წესის მიხედვით უნდა განაახლოს ბოძების შესახებ ბერათი (თეჯდირდი ბერათი). ე. ი. ახალმა სულთნმა ახალი დოკუმენტით უნდა შემოუმტკიცოს აღნიშნულ ფეოდალს წინამორბედი სულთნის ნაბოძარი მამული. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დოკუმენტის ტექსტში ნაჩვენებია თარიღი მამულის გარკვეული პირისადმი პირველადი ბოძებისა, ხოლო დოკუმენტის უკანა მხარეზე პოცემულია თარიღი ახალი სულთნის მიერ ამ ბოძების დამადასტურებელი განახლებული ბერათის გაცემისა.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, დოკუმენტი ძლიერ დიდი ზომისაა (147 . 50.1 სმ), შემკულია ნაირ-ნაირი ნახატებით და მიატვრული გაფორმების თვალსაზრისით იგი ამდგვარია თურქული ძეგლების ბრწყინვალე ნიმუშია. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა ხელოვნებათმცოდნე ელენე მაქავარიანმა ეს დოკუმენტი ასე დაახასიათა: „ტექსტი, რომელსაც recto გვერდის ნახევარი უკავია, დაგვირგვინებულია სულთნის მონოგრამით (თულრით). ტექსტი შედგება 9 სტრიქონისაგან და ძირითადად დაწერილია ოქროთი. ტექსტის მე-4, მე-5 და მე-7 სტრიქონები დაწერილია შავი მელნით. შავი მელნითვეა დაწერილი სიხანკათის დამწერლობის შედარებით წვრილი ასოებით შესრულებული და სტრიქონებს შორის სწორკუთხედური ფორმის ჩარჩოში ჩაწერილი პია შემოსავლის ობიექტებისა. თითოეული სტრიქონის ფონი დაწინწკლულია ოქროთი: ოლონდ ოქროთი დაწერილ სტრიქონებში ქალაქი უფრო მეტად გამოსკვივის (ოქროს ასოები რომ არ შეერწყოს ოქროსავე ფონს), ხოლო შავი მელნით ნაწერ სტრიქონებში ოქროს მარმარილოსებრი დაწინწკვლა უფრო მკიდროა. ამდენად მთლიანი შთაბეჭდილება: სტრიქონები ზოლების სახით გამოყოფილია ქალაქის ფონზე. თითოეული სტრიქონი 4 მსხვილი ოქროს წერტილით თანაბარ ნაწილებად დაყოფილი. ეს ოქროს წერტილები შავი ასოებით დაწერილ სტრიქონებთან ერთად ერთგვარად უფრო მკვეთრადაა გამოკვეთილი ნაზ ოქროსა და ქალაქის ნაზ ფერთან შედარებით. ტექსტი, როგორც ზემოთ ითქვა, დაგვირგვინებულია სულთნის თულრით, რომელიც სამკუთხედურ ჩარჩოშია ჩასმული. ჩარჩო შევსებულია ოქროთი დაწერილი ყვავილოვანი ორნამენტით. შინდისფერი, ლურ-

ჯი, ცისფერი და მწვანე საღებავებით შესრულებული ეს მონოგრაფიული დოკუმენტის მიატვრულ გაფორმებაში ძირითად ფეროვან აქცენტს ქმნის¹.

დოკუმენტის ფოტორეპროდუქცია შესრულებულია საქართველოს კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარ სამმართველოს ფოტოცინკოგრაფიაში გ. გოგიჩაშვილის ხელმძღვანელობით (იხ. აქვე დანართი).

დოკუმენტი ძირითად ნაწილში შესრულებულია დამწერლობით დინჯან-ჯელნან (ديوانی جلیسی) ეს ერთ-ერთი სახეობაა თურქული მდივანწიგნობრიული (ديوانی - დინჯან) ხელისა. არაბული جلی - ჯელნანიშნავს 'ლია', 'თვალსაჩინო', 'აშკარა'ს და მართლაც ამ დამწერლობის ასოები გამოიჩვენებენ საერთოდ სიდიდით, სიმაღლით და მსხვილი მოყვანილობით. ამასთან ერთად ეს ასოები ისეა ერთმანეთში გადახვეული, რომ ამოსაკითხავად წაინც დიდი სიოთულე იქმნება. საერთოდ ამ დამწერლობით იწერებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობის საწიგნო დოკუმენტები, რომლებიც გაცემული იქმნებოდა რაიმე სადღესასწაულო ვითაობების გამო¹. ჩვენი დოკუმენტი სწორედ ასეთი ხასიათისაა: ის გამოცემულია სულთნის მიერ მისი ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით და აქედან გამომდინარე წესების შესასრულებლად. დოკუმენტის ძირითადი ტექსტის მეორე ნახევარში, სახელდობრ ორად გაყოფილი წე-ნ სტრიქონის შუაში, მოთავსებულია სიჯაკათის ხელით შესრულებული ნაწერი, რომელიც საბუთით ბოძებული მამულების (სოფლების, სათესველისა და სხვ.) ჩამოთვლასა და ამ მამულებიდან ასაღები შემოსავლის აღნუსხვას შეიცავს. სიჯაკათის დამწერლობის სირთულე ნარტო იმით არ არის განსაზღვრული, რომ აქ ასოთა მოხაზულობა ძალზე სტილიზებულია: ამ დამწერლობაში დიაკრიტიკული ნიშნებიც სრულებით არაა მოცემული².

დოკუმენტს მნიშვნელობა აქვს ამ დროის სამხრეთ საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა, აგრეთვე საქართველო-თურქეთის ისტორიულ-პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულების საკითხების შესასწავლად. ძველი უსათუოდ წარმოადგენს ინტერესს თურქული პალეოგრაფიისა და დიპლომატიკის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია იგი აგრეთვე როგორც მასალა თურქული ენის ისტორიისათვის. შრომას დართული აქვს შენიშვნები, რომელთა მიზანია მკითხველს მიაწოდოს მცირემოცულობის ახსნა-განმარტებანი ტექსტის სპეციფიკური სოციალ-ეკონომიური ტერმინოლოგიისა და გეოგრაფიული ნომენკლატურის შესახებ.

¹ საერთო დახასიათება დინჯან-ჯელნან დამწერლობისა იხ. L. Fekete, Einführung in die osmanisch-türkische Diplomatie der türkischen Botmässigkeit in Ungarn, ბუდაპეშტი, 1926, გვ. XX.

² ამის შესახებ: L. Fekete, Die Siyâgat-schrift in der türkischen Finanzverwaltung. I-II, ბუდაპეშტი, 1955.

დოკუმენტის ტექსტი:

- (1) هو الله العزيز الغني المغني المعين الفتحا تقديست اسماؤه و
تتابعت نعمائه و ترادفت الاؤه
- [წარწერა სულთნის თულრის თავზე] (2) موجبينجه عمل اولنه
- [წარწერა თულრაზე:] (3) مصطفى خان بن احمد مظفر دائما
- (4) نشان شريف عاليشان سامی مکان سلطانی و طغرای غرای جهان
ستان خاقانی نفذ بالعمون الربانی حکمی اولدر که (5) چون خداوند واهب
المواهب جلّ شأنه و تعالی و جناب مفيض النوال و المراتب و مشتمل احسانه
و توالی کمال کرم و خودبدن عتبه علیه عزت دستکاهیمی مقسم
ارزاق کافه امم قلدی فلاجرم شکراً علی تلك النعم ذمت همت علیه
شاهانه مه واجب و اهم اولديکه (6) عباد عنایت معتاد مدت مستحق
ارتفاع شان و مستوجب اعتلاء مکان اولندر علی الدوام حصول مقاصد و
میراملر یله بهرره مند و محصل الامال اولالر بنأ علی ذلك تخت عالی بخت
عسمانی اوزره جلوس همایون سعادت مقرونم واقع اولوب عموماً تجدید
احکام و بیرات و فرمانم اولمغین (7) التون قلعه و اوسخه و
اخسخه سنجاقلرنده التون قلعه و غیرى ناحیه لرده رباط التون قلعه
نام دیکر شوقه نام قریه و غیرنندن ابکیوک طقوزیوز اقچه بروجه یورتلق
و اوجاقلق میر لواء التون قلعه خاصه سنه سبعین و ماته و الف ربیع
الآخرینک بدنجی کونی تاریخیه (8) خداوند کار سابق براتیله متصرف
اولان رافع توقیع رفیبیع فرخنده فال شهریارى و ناقل یرلیغ بلیغ مسرت
عنوان تاجدارى قدوه الامراء الکرام سلیمان اسعد دام عزه سده سعادتمه
کلوب خاص مرقوم تاریخ مزبوردن برو اوزرنده اولمغله براتی تجدید
اولنمسی (9) بابنده استدعای عنایت تمکین ذکر اولنان ابکیوک
طقوز یوز اقچه بروجه یورتلق و اوجاقلق میر لواء التون قلعه خاصی
مومی الیه سلیمان اسعد دام عزه یه توجیه اولنوب سده سعادتمدن لایق

و اولی و سزاوار و احری (10) کوروب و بردومکه ذکر اولنور و شرح
و عیان و تفصیل و بیان قلنور

درلواء اوسخه
| 6 | خارجام تابع اوسخه

۱۵۰۰۰

| 7 | کوره¹ تابع اوسخه

۱۸۶۰۰

يكون — ۳۳۶۰۰

درلواء اخسخه
| 8 | واليسون² تابع اوده

۱۶۵۰۰

| 9 | صومخستوبان³ تابع م

۱۳۷۰۰

| 10 | موخى⁴ عليا مع موخى⁵ سفلا
تابع اخسخه

۳۰۰۰۰

يكون — ۶۰۲۰۰

| 1 | رباط التون قلعه نام ديكر
شوقه تابع التون قلعه

۱۱۵۱۵

| 2 | بلناره¹ تابع التون قلعه

۲۰۰۰۰

| 3 | كليسا² جولا نام ديكر
مزرعه³ جولا تابع م| زبور|

۱۲۰۰۰

| 4 | مزرعه جوجولازى نزد
قريه⁴ كيكبو² تابع بلناره¹

۱۰۰۰

| 5 | كورته تابع ازغور³

۱۲۰۰۰

يكون — ۵۶۵۱۵

| 1 | محصول بيت المال عامه غير از خاصه اون بيكدن اشقى مع
بوست و شوق¹ فى سنه
۵۰۰۰

¹ დედანში შეცდომით ბლნან წერია.

² საბუთში შეცდომით კილბო წერია.

³ აქვე შეცდომით აუგორ - ის ნაცვლად.

⁴ აქ უნდა იყოს კორე და არა კორთე, როგორც ეს დედანშია (იხ. შენიშვნა 13).

⁵ უნდა იყოს واليسون; დედანში შეცდომით واليون - ია.

⁶ დედანში აქვე შეცდომით: صومخستان - ი უნდა იყოს და არა صومختان (იხ. ქვემოთ შენიშვნა 15).

⁷ ამ გამოსაღების შესახებ იხ. შენიშვნა 19. გვ. 179.

დოკუმენტის თარგმანი:

„იგია ალლაჰი, ყოვლად ძლიერი, აღსაესე, უხვი, ყოვლად შემწე. ძლევა- მოსილი; წმიდაა სახელნი მისნი, შეუწყვეტელია მისი მადლი და ერთიმეორეს ზედიზედ მოსდევენ კეთილი საქმენი მისნი.

(ხოხთქრის მიერ წარწერილია:) იმოქმედეთ შესაბამისად ამისა.

(თურაზე:) მუსტაფა ხან აჰმედის - ძე — მარადის გამარჯვებული¹.

პატიოსანი, მაღალღირსეული, ზეციური სამეფო ნიშნისა და ბრწყინვალე და ქვეყნისმპყრობელი, უზენაესი თურქის — თან ახლდეს მას ღირსება მეწევნითა უფლისათა — ბრძანება ის არის, რომ მადლის მომნიჭებელმა უფალმა ბრწყინვალეა მისი საქმე და მაღალიმც არს იგი — რომლისგანაც უხვად მოედინება შეწყალება და აღზევება და რომელშიაც შერწყნულია საქმენი კეთილნი და განუწყვეტელი და სრულყოფილი სულგოდებლობა. ძლიერების საყრდენი ჩემი უზენაესი კარიბჭე მთელი ერის საზრდოს განმანაწილებლად აქცია და, ეჭვს გარეშეა, მადლობა მას იმ სიკეთეებისათვის და ნაღალი მფარველობისათვის, რაც მიუცილებლად და გარდაუვლად აღმოეჩინა ჩემს მეფეებს: რათა იმ ქმნილებებმა, რომლებმაც შეწყალება უნდა მიიღონ და რომელთაც სათანადო დროის განმავლობაში დაიმსახურეს საქმიანობაში წარმატება და ღირსნი არიან აღზევებისა. მუდამ მიაღწიონ თავიანთ მიზნებსა და სურვილებს და განზრახულობათა განხორციელებას.

ვინაიდან ამჟამად მოხდა ჩემი სამეფო და ბედნიერებას მიღწეული აღსვლა ოსმალთა მაღალ და სვიან ტახტზე და, რადგანაც ამასთან დაკავშირებით, საერთოდ მიმდინარეობს განახლება ქუჩებისა, ბერათებისა და თირმანებისა², ამიტომ კეთილშობილი ენირების წინამძღოლმა სულემან ესა'ად'მა — ხანგრძლივი იყოს დიდებულება მისი — რომელიც ძურთლუკისა და ოჯაკლიკის წესით³ და ათას ას სამოცდაათი წლის რები-ულ-ახირის მეშვიდე დღით დათარიღებული⁴ ყოფილი ხონთქრის ბერათის⁵ საფუძველზე ფლობს ორი ძუქი⁶ ტყბრაასი ახჩის შემოსავლიანსა და ალთუნ-კალ'ას⁷, ოცხისა⁸ და ახალციხის⁹ სანჯაყებსა და ალთუნ-კალ'ა-სა და სხვა ნაჰიეებში მდებარე ალთუნ-კალ'ა-ს რაბათს (მეორე სახელი სოფელ შოყა)¹⁰ და ალთუნ-კალ'ას სახასოში (შემავალ) სხვა მამულებს, მოვიდა ჩემს სვებედნიერ სასახლეში, წარმოადგინა უნეტარესი სამეფო თევკი¹¹, მკვერი და სიხარულის მომნიჭებელი სახელმწიფო სიგელი და შემოგვეხვერწა ბერათის განახლება აღნიშნულ სახასო მამულზე, რომელიც ზემოხსენებული თარიღიდან მასზე ირიცხება.

ამის გამო აღნიშნული ორი ძუქი და ცბრაასახჩიანი ალთუნ-კალ'ას სახასო მამულები ძურთლუკისა და ოჯაკლიკის წესით ებოძოს ზემოხსენებულ სულემან ესა'დს — ხანგრძლივი იყოს მისი დიდებულება; ჩემი ბედნიერების ზღურბლიდან მე ის ვცანი ღირსეულად, შესაბამისად, ღირსპატივისცემად და

¹ — ჩვენი წელთ აღრიცხვის 1756 წლის 30 - XII - ს.

² ბერათი — იმ. ქვემოთ შენიშვნა 2.

დამსახურებულად და მივეცი, რაც აქვე იხსენიება, ცხადდება და დაწერო-
ლებითი ახსნა-განმარტებით იწერება:

1) ალთუნ-კალ'ას რაბათი,
მეორე სახელი შოქა; ექვემდებარება
ალთუნ-კალ'ას⁹

11.515

2) ბელნარა⁸
ექვემდებარება ალთუნ-კალ'ას

20.000

3) ჭულე'ს⁹ ეკლესია, მეორე
სახელი ჭულე'ს სათესველი
ექვემდებარება ხსენებულ (ნაჭიფეს)

12.000

4) جوجولازی -ს სათესველი¹⁰ სოფელ
კიკიბოსთან. ექვემდებარება ბელნარას¹⁰

1.000

5) ქორთა¹¹ ექვემდებარება აწყურ(ის ნაჭიფეს

12.000

ჯამალი 56.515
ოცხის ლიფა

6) ხარჯამი¹² — ექვემდებარება ოცხი(ს ნაჭიფეს)

15.000

7) გორა¹³ — ექვემდებარება ოცხეს

18.600

ჯამალი — 33.600
ახალციხის ლიფა

8) ვალისონი¹⁴ — ექვემდებარება უდეს

16.500

9) სუმუხთუბანი¹⁵ — ექვემდებარება ხსენებულ (უდეს)

13.700

10) ზემო მოხე ქვემო მოხეთურთ¹⁶
ექვემდებარება ახალციხეს

30.000

ჯამალი — 60.200

[1] შემოსავალი სახალხო ბეათ-ალ-მნლ'იდან ¹⁷ ; ათათასზე ნაკლები (შემოსავალიანი) სახასო თრმარების ¹⁸ გამოკლებით; ფოცხვერის ბეწვეულის ¹⁹ განოსალებიანად, წელიწადში	5.000
[2] შემოსავალი ხსენებული ლივას სამღებროდან წელიწადში	13.000
[3] შემოსავალი შავი დამღისა ²⁰ და ხსენებული ლივას ბაზრის ზედამხედველობიდან (იჰთისნბ) ²¹ . — წელიწადში	4.000
[4] შემოსავალი ხსენებული ლივას ჯიზმასა ²² და მურახხასიდედან ²³ — ზა'რმთა (ზი'ანეთებისა) და თავისუფალ თრმართა გამოკლებით, თითო-თითო კომლიდან, წელიწადში	4.000
[5] შემოსავალი ცხვრის განოსალებიდან ხსენებული ლივას სახასოებზე გარდა ზა'რმთა (ზი'ანეთებისა) ¹⁸ და სიფჰჰრებისა და მეციხოვნეთა თრმარებისა, წელიწადში	5.000
[6] შემოსავალი ხსენებული ლივას იალალებიდან — ზა'რმთა ზი'ანეთებისა და სიფჰჰრების ¹⁸ თრმარების გამოკლებით, წელიწადში	4.000
[7] შემოსავალი უპატრონო და ნაპოვნი ცხოველებიდან და გაქცეულ და უკანმოყვანილ ყმებიდან და დაკარგული და კვლავ მოპოვებული ნივთებიდან. წელიწადში	4.000
[8] სიფჰჰრების თრმარების ბნდ-უ ჰავანს ²⁴ ნახევარი და საქორწინო, ზა'რმთა (ზი'ანეთებისა) და თავისუფალი თრმარების ¹⁸ გამოკლებით, წელიწადში	11.585

ჯამალი — 50.585

და ვბრძანე. რომ ამიერიდან მის ხელში იყოს და მის უფლებაში იყოს, ისე რომ საკეთილო და უხვი საფადიშაჰო სამსახურებრივი მოვალეობანი და სამადლობელო სამსახური სამეფო და ძღვევამოსილი ჯარისადმი სახელმწიფო დავთრის შესაბამისად უნაკლოდ, პატივისცემითა და შესაფერისად შეასრულოს. ზემოხსენებული ლივანს ყანდრ-ებმა და ალაძბეგმა და ზა'რმებმა და თრმარის პატრონებმა და სხვა რჩეულებმა და წარჩინებულებმა და ყველა მაღალმა და დაბალმა, დიდმა და მცირემ ზემოდასახელებული სანჯაყ-ბეგად იცნონ, სანჯაყ-ბეგის თანამდებობასთან დაკავშირებულ საქმეებსა და ვითარებებში ზემოხსენებულს ნიმართონ და მისადმი პატივისცემაში ერთი წუთითაც არ დაყოვნდნენ. ამ საქმეში ნურავინ ხელშემშლელი და განმკიცხველი ნუ იქნება, ნურავინ ნუ ჩაერევა და წინააღმდეგობას ნუ გაუწევს. ასე იცოდეთ, პატიოსან ნიშანს ¹ ენდეთ.

მაღალი სამეფო სასახლის
კეთილად დაცული და კეთილადშენახული
კონსტანტინიფეს რეზიდენციაში.

შენიშვნები

1. თურქა ეწოდება სპეციალურად შესრულებული და ოსმალთა სულთნის მიერ გაცემული სიგელების ტექსტის წინ მოთავსებულ ნიშანს, რომელშიაც მონოგრამულად გამოყვანილია დოკუმენტის გამცემი სულთნის სახელი.

მამის სახელი და ფორმულა مظفر دائما — 'მარადის გამარჯვებულნი და მარად-არა' (tuğra) სახელწოდება თურქული წარმომავლობისაა, სპარსულად მას ჰქვია ნიშანი-ი (نشان), ხოლო არაბულად — თევეკი (توقيع). სამივე ეს სიტყვა იხმარებოდა ოსმალურში საერთოდ. ჩვენს დოკუმენტშიაც ერთდროულად ვხვდებით ნათ სხვადასხვა ადგილას: მე-4 სტრიქონში نشان شریف, პატი-ოსანი... ნიშნის..., ამავე სტრიქონში — طغرای غرای, ბრწყინვალე თულ-რის..., და მე-8 სტრიქონში — توقيع رفیع 'მაღალი თევეკი' — მოყვანილი სამივე სიტყვა 'თულრა'ს აღნიშნავს. 'თულრა'ს ერქვა აგრეთვე علامت 'აღმეთ-ი, რომელიც იწერებოდა ჩვეულებრივად სიგელის ბოლოს علامت شریف-ის სახით (სხვათა შორის شریف მსახლვრელი უნდა იყოს მდებარეობითი სქესის ფორმით شریف, მაგრამ ეს წესი არსად არაა დაცული). ოსმალეთის უმაღლეს საკანცელარიო ცხოვრებაში თულრა სახელმწიფო ბეჭდის მაგიერი იყო. თულრის გარდა სულთნის მიერ გამოცემულ ასეთი ხასიათის სიგელებზე არც ბეჭედი, არც არავითარი ხელმოწერა არ იყო. სულთნის სიგელებზე თულრის გამოყვანაზე ჩუშაობდა მთელი შტატი თანამშრომლებისა, რომელთაც ნიშნჯი, თულრაქეშ, თევეკი ან თევეკიჯი ერქვათ. ჩვენ ამ შემთხვევისათვის თულრაზე ამ მოკლე ცნობებით დავკმაყოფილდებით¹.

2. ჰუქმ-ი (არაბ. حکم → თ. hüküm, სპ. hokm → ქართ. ოქმი → 'სასა-მართლოს გადაწყვეტილების', 'განაჩენის' მნიშვნელობაც აქვს). ბერათ-ი (არაბ. برات → ბარათ-ი), ფირმან-ი (სპ. فرمان) უზენაესი ბრძანებებისა და განკარგულებათა შეცველი სიგელები, რომლებიც სულთნის მიერ გაიცემოდა სახელმწიფო საქმიანობის სხვადასხვა დარგში და რომლებიც გარეგნული გაფორმებით ერთმანეთისაგან გაირჩეოდნენ².

3. იურტლიკ (yurtluk) და აოჯაქლიკ (ocaklık) - ის წესით ბოძებული ადგილ-მამული. იურტი (yurt) თურქული სიტყვაა. ნიშნავს 'ქვეყანა', 'მხარე', 'ადგილი', 'საცხოვრებელი ადგილი', 'სამშობლო', 'სახლი', 'ნომადების კარავი' (ზღრ. რუს. юрта ← თურქ. yurt 'კარავი' (киргизская юрта) და სხვა;

¹ ლიტერატურა თულრაზე საკმაოდ დიდია: Fr. Kraeclitz, Osmanische Urkunden... გვ. 17-23; Fr. Babinger, Die Grossherliche Tuğra. Ein Beitrag zur Geschichte des osmanischen Urkundeswesens. Jahrbuch der asiatischen Kunst. II 2. Leipzig, 1925, გვ. 184-196; L. Fekete, Einführung in die osmanisch-türkische Diplomatie... გვ. XLII-XLIV. I. H. Uzunçarşılı, Tuğra ve peçeler ile ferman ve buyuruldulara dair. T. T. K. Belleten. c. V, s. 17-18 Ankara. 1941. გვ. 101-157; P. Wittek, Notes sur la tuğra ottomane. „Byzantion“, t. XVIII. Bruxelles. 1948. გვ. 311-334; A. Zajaczkowski, J. Reychman, Zarys dyplomatyki osmansko-tureckiej. Warszawa. 1955. გვ. 80; M. Guboglu, Paleografia si diplomatica turco-osmana. Studiu si album. Bucuresti. 1958. გვ. 67-70.

² ლიტერატურა ასეთი დოკუმენტების შესახებ: Fr. Kraeclitz, Osmanische Urkunden... გვ. 9 და შემდგომ; L. Fekete, Einführung... გვ. XXIX და შემდგ. A. Zajaczkowski, J. Reychman, Zarys... გვ. 73 და შემდგ. Islām Ansiklopedisi, c. 17, სტამბოლი, 1943. გვ. 523-524, იქვე. c. 35. გვ. 571-572; M. Pakalin, Osmanli tarih deyimleri ve terimleri sözlüğü. f. VII. f. IX და სხვა.

yurt + luk — 'საცხოვრებელი მიწის ფართობი', 'მამული', 'ფეოდალური მამული ფლობელო'; اوجاق — ocak თურქ. 'კერა', 'ქურა', 'სახლი' 'გვარი'. 'დინასტია'. 'ოჯახი' (შდრ. ქართ. 'ოჯახი', რუს., оѳар) და სხვა: ამ სიტყვათაგან არის ნაწარმოები სპეციალური ტერმინი yurtluk ve vcaklık, რომელიც საერთოდ ნიშნავს რაღაც 'საოჯახოს', 'საშინაო' (მფლობელობას), ამდენად 'საკუთარსა და სამემკვიდრეო' მფლობელობის მამულს. ocak — lik (სხვათა შორის) 'ადგილ-მამული' რომელიც ფეოდალურ ოსმალეთში სამხედრო და სხვა დამსახურებისათვის ებოძებოდა ვისმე სამემკვიდრეოდ — سابقدا ارتا 'თანამდებობა და მამული, რომელიც საკუთრად და სამემკვიდრეოდ იყო ბოძებული'. ამ თვალსაზრისით საინტერესოა XVII საუკ. ცნობილი თურქი პოეზაულის ევლიმ ჩელების მიერ მოწოდებული განმარტება: لوانه 'لوانه نصف پورتكرت' لوانه 'شوشاد سنجاقلرى يوردلق و اوجاقلق اولوب ملكيت اوزره تصرف اولنور' ე. ი., ოსმალეთის ხელში გადასული ქართული პროვინციების — 'ფორტქერქის (?)², ლივანას, ნახევარ ლივანასი და შავშეთის სანჯაყებს „ფორტლუკისა და ოჯაკლიკის“ წესით ფლობენ როგორც საკუთარ მამულს³. მამულის მფლობელობის ასეთი სახე, როგორც ვიცით, ოსმალთა სახელმწიფოს შიდა ვილნაეფთებს სინამდვილეში არ იყო ცნობილი. ამ წესით ადგილ-მამულის ბოძება ამა თუ იმ პირისათვის ოსმალეთში ბილებული იყო, როგორც ირკვევა, განაპირა და ახლად დაპყრობილ პროვინციებში. ცნობილია, მაგალითად, ფურთლუკისა და ოჯაკლიკის (بروجه يورتلق و اوجاقلق) წესით მამულის ბოძება ბოსნასა და ჰერცეგოვინაში⁴ და სხვაგან. აქ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვითაც აღნიშნული წესით მამულის გაცემა ფეოდალზე ხდება ოსმალთა მიერ ახლად შეერთებული სამცხის ერთ უბანში. სამემკვიდრეო და საკუთრების წესით⁵ მამულის გაცემა ახლად შემოგოთებულ

¹ قاموس تركى — سامى. ش. В. Радлов, Опыт словаря турецких наречий. III: J. W. Redhouse, A Turkish and English Lexicon; Fr. Kraclitz, Osmanische Urkunden... გვ. 36-37. შენ. 3.

² ეს გეოგრაფიული სახელი უსათუოდ დამახინჯებული ჩანს. ევლიმ ჩელებს თხზულებათა ხელნაწერის უქონლობის გამო ამჟამად ვერ იერხდება ნამდვილი სახელი დადგენა.

³ اوليا جلبى سياحتنامهسى II. სტამბოლი. 1314 (1896-1897). გვ. 322 (ხაზი ჩემია). შდრ. ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVII-XVIII საუკუნეებში. თბილისი. 1958 წ. გვ. 343.

⁴ N. Filipović, Odžakluk timari u Bosni i Hercegovini. in: Prilozi za orijentalnu filologiju i istoriju jugoslavenskih naroda pod turskom vladavinom. ტ. V (გვ. 251-274). სარაევო, 1955.

⁵ შდრ. ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVIII საუკუნეებში. თბილისი. 1958, გვ. 343; პროფ. ვ. გაბაშვილი აქვე იმოწმებს შრომას: H. A. R. Gibb and H. Bowen. Islamic society and the West. Oxford, 1951. გვ. 163; აგრეთვე ვ. გაბაშვილის დასახელ. ნაშრომი, გვ. 258. სადაც სპარსული „მულქ-ი მოუოფანი“ — ოსმალური შესატყვისად „ოჯაკლიკია“ მიჩნეული. ამ საკითხზე უფრო მეტი ცნობებია მოცემული ბანიჩან ავალიანის ახლადგამოსულ საინტერესო შრომაში: მიწისმფლობელობის ფორმები აკარაში, ბათუმი, 1960, გვ. 56 და შემდგ.

ზონებში იყო შემოღებული, როგორც ჩანს, დროებით და იმისათვის, რომ დაპყრობილი ქვეყნის დიდგვარიანი პირები გადმოეხიზნებინათ და მიემხროთ. პროფ. ლ. ფეკეტეს მიხედვით მამულები, რომლებიც ოჯაკლიკის წესით რიგდებოდა. უკვე თიმარი აღარ იყო და ამ წესით გაცემული მამულის მფლობელი, როგორც თიმარის პატრონი, ჩვეულებრივ სამსახურს არ ასრულებდა¹.

4. **يوك** — *yük* — თურქული სიტყვაა, ზოგადად 'ტვირთს' 'საპალნე'ს ნიშნავს (შდრ. რუს. **ВЬЮК** ← თ. *yük*). ძველ ოსმალურში აუქ-ი აღნიშნავდა აგრეთვე რიცხვით ერთეულს 100.000-ის რაოდენობით. თურქული თელის სისტემაში ძველად ეს უდიდესი ერთეული იყო. როცა საქმე ეხებოდა ფულის ანგარიშს, ერთი აუქი ახჩა უდრიდა 100.000 ახჩას². ჩვენს დოკუმენტში სულეიმან ეს 'ადს ებოძება მამული, რომელიც პატრონს აძლევს შემოსავალს 2 აუქი და 900 ახჩის, ე. ი. ორას ათას 900 ახჩის რაოდენობით.

5. ალთუნ კალ'ა — ალთუნ-ი და კალ'ა თურქული სიტყვებია და ქართული „ოქროს ციხე“ს თარგმანი (თ. *altun* 'ოქრო', *kal'a* არაბ. თურქ. 'ციხე'³). ოქროს ციხე ან *Altun-kal'a* სახელია იმ ციხე სიპაგრისა, რომელიც ადიგვნის რაიონში სოფ. შოყა-ს ზემოთ მდებარეობდა (მისი კედლები დღესაც დაცულია). როგორც ჩვენს დოკუმენტში, ისე „გურჯისტანის ვილაჟეთის დიდ დავთარში“ ამ პუნქტის შემოსავალი 11.515 ახჩით არის განსაზღვრული, ისევე როგორც ეს პუნქტი ერთნაირი ორმაგი სახელით იხსენიება: **رباط شوقه**, ოქროს ციხის რაბათი, მეორე სახელი შოყა'. ე. თაყაიშვილით: К северо-востоку от Чулеби находятся развалины некогда сильной крепости Окросдихе или Алтун-вала, которая построена на отдельной вулканической возвышенности⁴. მ. ბროსესთან ეს პუნქტი იხსენიება როგორც *citadelle d'Altun-Qala*⁵. კ. ზისერმანი სამცხის ამ სექტორში ასახელებს 8 კომლიან სოფელს **Шова-ს**⁶. ამჟამად ადიგვნის რაიონში სოფ. შოყა, ფხერო და ზემო ენთელ სოფლებთან ერთად, ფხეროს სასოფლო საბჭოში შედის⁷.

6. ოცხე (**اوسخه**) იგივე ისტორიული ოძრახეა, რომელიც ტერიტორიულად დღევანდელ კურორტ აბასთუმანს ემთხვევა. „დავთარის“ დროს

¹ L. Fekete. Die Siyâqat schrift... I. გვ. 105 (შენიშვნა 57). ბუდაპეშტი, 1955, გვ. 105 (შენიშვნა 57).

² **لهجة عثمانی** — **وفيق باشا** — В. Радлов. Опыт словаря турецких наречий. III: L. Fekete. დასახელებული შრომა. გვ. 37.

³ ნახე აგრეთვე: Л. Исарлов. Письма о Грузии. თბილისი, 1899, გვ. 9.

⁴ „დავთარი“, I—9, 109; II 10, 112; III—153, 154.

⁵ Е. С. Такийшвили, Зарзский монастырь. его реставрация... Окросдихе, СМОМПК. 35, თბილისი, 1905, გვ. 109, 110.

⁶ M. Brosset. Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie... II, პეტერბურგი, 1850, გვ. 113, 137.

⁷ Сборник материалов для описания Тифлисской губернии. под редакцией правителя оной К. Л. Зяссермана, т. I, вып. I, თბილისი, 1870, გვ. 14.

საქ. სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბილისი, 1949, გვ. 14.

ოცხე ნაჰიფეს ცენტრია, ამ დოკუმენტში ოცხე სანჯაყად (ლიენდ) და ნაჰიფე-
ედაც იხსენიება (იხ. ქვემოთ). ოცხეზე ვრცელი ცნობები მოცემულია „დავთ-
რის“ III წიგნში, გვ. 162-167.

7. ახალციხეს თურქულად **اخسح** (ახისხა) ჰქვია. აქ სანჯაყად იხსენიება. სულეიმან ეს'ადისადმი ბოძებული სახასო მამული ძირითადად ოქროს ციხის მიდამოებშია, თვით ოქროს ციხე — ალთუნ-კალ'ა-შოყა, ბელნარა, ქულე), მაგრამ ამ სახასოში შემავალი სხვა მამულები სხვადასხვა ნაჰიფეებშია გაფანტული და მათ შორის ახალციხის სანჯაყშიც. მაგალითად, სოფ. ქორთა აწყურის ნაჰიფეს ტერიტორიაზეა, სოფ. ხარჯამი და გორა ოცხეს განეკუთვნება, სოფ. კიკიბოსთან ნაჩვენები „ჯუჯულაძის“ სათესველი, რომელიც შეცდომით ბელნარასადმი დაქვემდებარებულადაა აღრიცხული, ქვაბლიანის ნაჰიფეში შედის (იხ. „დავთარი“, III, გვ. 119) და სხვ, საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს დოკუმენტი დაწერილია სტამბოლში აქედან წარდგენილი ოფიციალური ცნობების საფუძველზე და ჩანს, რომ ამ ცნობებში გადამწერი ვერ გარკვეულა და ზოგან იგი აურევია (იხ. ქვემოთ ზოგიერთი გადასახადისა, მაგ **مخصيه** და სოფლის სახელებიც — იხსენიება აწყურის ნაჰიფესათვის სოფ. ქორთა; ოცხესაც ამავე სახელის სოფელი აქვს მიწერილი სოფ. გორას ნაცვლად). ახალციხეზე ცნობები იხ. „დავთარის“ III წიგნში, გვ. 42-50.

8. ბელნარა „დავთარში“ ალთუნ-კალ'ა-ს ნაჰიფეში მე-15 პუნქტად აღწერილია სოფ. ბელნარა, რომელიც დაბეგრალია 20.000 ახჩით¹. მისი ამოკითხულობა „დავთარში“ არავითარ ექვს არ იწვევს; მისი მოხაზულობა სიდაკათის ხელით ასეთი სახისაა — **بلنار**². ამდენად უდავო ამბავია ისიც, რომ ჩვენს დოკუმენტზე ამ სოფლის სახელის მოხაზულობა უთუოდ შეცდომითაა მოცემული. ამ დოკუმენტზე აგრეთვე სიდაკათის ხელით შესრულებული **بلنان** (= „ბელნან“) ი, რომელშიაც ბოლოკიდური (რ) და „ჰე ჰავეს“-ით გამოხატული ასოები (შერწყმულად დაწერილი სიდაკათის დამწერლობის თავისებურებათა ნიხედვით) შეცდომით მიღებულია **ن** (ნ) ასოდ. ამიტომ ჩვენ სავსებით დაჯერებულად ვასწორებთ ამ დოკუმენტის **بلنار**-ს **بلنار**-ით. ეს იგივე „დავთარის“ ბელნარა ა, სადაც მას აქვს შეწერილი იმდენივე გამოსაღები (20.000 ახჩა), რამდენიც ამ დოკუმენტში.

ბელნარა ან, თანამედროვე ადგილობრივი წარმოთქმით, ბენარა ახალციხე-აბასთუმნის გზაზე მდებარეობს, ახალციხიდან დაახლოებით 17 კილომეტრზე³. სოფ. ბენარა დღეს ხევაშენ, უნწა და ნაქურდევ სოფლებთან ერ-

¹ „დავთარი“, I—9, 115; II—10, 117.

² იხ. „დავთარი“-ს დედანი, გვ. 108.

³ Е. С. Такайшвили, Зарэмский монастырь. его реставрация и фрески... СМОМПК. 35 თბილისი, 1905, გვ. 1.

თად ადიგენის რაიონის ხევაშნის სასოფლო საბჭოში შედის¹. სახელწოდება „ბენარა“ ჩვენ გაანალიზებულ გვაქვს „დავთარში“².

9. ქულე. „დავთარშიაც“ ამ პუნქტის სახელი ზუსტად ასეა ჩაწერილი: „ქულის ეკლესია, მეორე სახელი ქულის სათესველი“³. „ქულე“-დ წოდებული პუნქტის ამ დოკუმენტში ნაჩვენები შემოსავალი 12.000 (ახია) სავსებით ემთხვევა „დავთარში“ ქულებზე შეწერილ გამოსაღებს⁴. „დავთარსა“ და ჩვენს დოკუმენტში ამ პუნქტის სახელად ჩვენ გვაქვს ქულე. მაგრამ ნ. ბროსეს (და სხვების) მიხედვით მას „ვულგარულად“ „ქულები“ და „ქულევი“⁵ რქმევიან. არაქართულ ტრანსკრიფციაში „ქულე“ ასეა წარმოდგენილი: *Чула, Чулеби, Tchoula, Tchoulébi ou Tchoulewi*⁶. ქულე. მდებარეობს ქვაბლიანის ხეობაში. დღევანდელი ადიგენის რაიონში. სარაიონო ცენტრიდან დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილზე.

10. ეს სათესველი *جوجولازی* „დავთარშიც“ არის აღწერილი ალთუნ-კალას მომიჯნავე ქობლიანის ნაპირეში მე-17 ნომრად⁷. „დავთარში“ ამ დაწერილობას დიაკრიტიკული ნიშნები დასმული აქვს — *جوجولازی*, მაგრამ მისი ზუსტად ამოკითხვა წაინც კირს: შეიძლება ეს იყოს „ქუქულაძე“, „ჯუჯულაძე“. (სათესველის მფლობელი?) და სხვ. შეცდომით უნდა იყოს ამ დოკუმენტში რომ ეს სოფელი მიწერილია ბენარასადმი („ექვემდებარება ბენარას“). ასეთი სანაპირო (ვთქვათ „სარაიონო“) ადმინისტრაციულ პუნქტად ბენარა საერთოდ არასოდეს არ ყოფილა. მას უნდა ეწეროს „ექვემდებარება ქობლიანის ნაპირეს“. რომ „დავთარისა“ და ამ დოკუმენტის *جوجولازی* ერთი და იგივე პუნქტია იქიდანაც ჩანს, რომ, ჯერ ერთი, ორივეგან მას უწერია „(მდებარეობს) სოფელ კიკიბო'სთან“⁸, ხოლო კიკიბო იმავე „დავთარში“ სწო-

¹ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბილისი, 1949, გვ. 24.

² „დავთარი“. III, გვ. 158, 159; აგრეთვე სტია, ფ. 77, ს. 45, გვ. 10v; К. Знесерман. Сборник материалов для описания Тифлисской губернии. т. I. вып. I. 1870, გვ. 15.

³ გურჯისტანის ვილ. დ. დ., I—9, 113; II—10, 115; III—156 (№ ყველგან 8).

⁴ იხ. იქვე.

⁵ ამისათვისაც და საერთოდ ქულებზე იხ. შემდეგი ლიტერატურა: Граф. Уварови. Кавказ—Абхазия. Аджария. Шавшетия, Посховский участок. Путевые заметки, ч. II. Москва, 1891, გვ. 251-253; მისივე. Христианские памятники. Материалы по археологии Кавказа (МАК). IV. Москва, 1894, გვ. 60; Д Бакрадзе. Археологическое путешествие по Гурии и Аджаре. Петербург, 1878, გვ. 134 (შენიშვნა); მისივე. Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 51; М. Brosset. Rapports sur un voyage archéologique dans la Georgie... II, გვ. 137; Е. С. Такайшвили. Зармянский монастырь... Монастырь Дчулеби и остатки его стеной росписи, СМОМІК. 35, გვ. 104-109; ვ. ბერიძე. სამცხის ხუროთმოძღვრება XI-XVI საუკუნეებში. თბილისი, 1955, გვ. 142; ალ. დრონელი, დიდებული მესხეთი. გორი, 1914, გვ. 142.

⁶ „დავთარი“ I—8, 85; II—9, 88; III—119.

⁷ იხ. „დავთარის“ დედანი. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის თუთქული ფონდი № I, გვ. 81.

⁸ „დავთარი“, იქვე.

რედ ამავე ქობლიანის ნაჰიეშია აღრიცხული მე-II სოფლად¹; მეორე—*კოგორც* „დავთარში“, ისე ამ დოკუმენტში მას შეწერილი აქვს გამოსაღები 1.000 ახჩის რაოდენობით². ამ პუნქტის ლოკალიზებას ხელს შეუწყობს ქობლიანის ხეობაში დღევანდლამდე ცნობილი ადგილი კიკიბო, რომელთანაც ახლო მდებარედაა იგი ნაჩვენები³.

11. ქორთა. „დავთარში“ აწყურის ნაჰიეის სოფელთა შორის 35-ე პუნქტად აღწერილია სოფ. *كورك*⁴, რომელიც ამ დოკუმენტის იმავე აწყურის *كورك*-ს უდრის. ეს იდენტიფიკაცია იმიტომაც უნდა იყოს სწორი, რომ „დავთარშიაც“ და აქაც შემოსავალი ამ სოფლიდან ხუსტად 12.000 ახჩაა. „დავთარის“ დროს ამ სოფელში საში კომლია აღწერილი (ქოჩია, მახარობელი და ბატატა). ამჟამად ასეთი პუნქტი არ არსებობს. დაწერილობა *كورك* ძალიან მაცდუნებელი იყო იმისათვის, რომ ჩვენ „დავთარის“ მეორე წიგნში (გვ. 10, 105) ამ სოფლის სახელი ამოგვეკითხა ქორთა-დ, რაც შემდეგში ნოპოვებულმა არქივისეულმა ნასალამაც დაადასტურა — *Корца*⁵. (ქორთა შდრ. სოფლის სახელს ჩხიკვთა⁶). ჩვენ ეს სოფელი დავუკავშირეთ აგრეთვე გრ. ხანძთელის „ცხოვრებაში“ ნახსენებ ქორთა-ს („მაშინ თვთ წარვიდა ქორთას“ და „ვითარცა მიიწია ცქირი ქორთას“)⁷.

12. ხარჯამი ცნობილი სოფელი იყო ჯერ კიდევ „გურჯისტანის ვილჰეთის დიდი დავთარის“ შედგენის დროს (XVI საუკ.) და ახლაც არის ადიგენის რაიონში. ვარხან, აბასთუმან, საბუზარა და საღრძე სოფლებთან ერთად ხარჯამი ვარხნის სასოფლო საბჭოში შედის⁸. სოფ. ხარჯამი „დავთარის“ მიხედვით ახალციხის ლივან-ს ოცხის ნაჰიეში შედის და ისევე, როგორც ამ დოკუმენტში. დაბეგრილია 15.000 ახჩით⁹. „დავთარის“ დროის ხარჯანში 5 კომლია. ხოლო 1870 წ. მასში 24 კომლი ირიცხება¹⁰.

13. გორა. ჩვენს დოკუმენტში აღნიშნული მე-7 სოფლის სახელწოდების მოხაზულობა ისეთივეა, როგორც მე-5 სოფლისა, რომელიც აწყურის ნაჰიეში მდებარედ არის აქაც აღრიცხული და „დავთარის“ მიხედვითაც დადასტურდა აწყურის სანახების სოფ. ქორთად¹¹. ეს მე-7 სოფელი ოცხე-

¹ „დავთარი“ I—8, 83; II—9, 86; III—115.

² იქვე.

³ იხ. „დავთარი“ II, გვ. 115, № 11.

⁴ იხ. „დავთარი“ I—9, 103; II—10, 105; III—138-139.

⁵ სცია, ფ. 47, ს. 20, გვ. 9 და სცია, ფ. 77, ს. 23, გვ. 10v; აგრეთვე ჩვენი „დავთარი“ III, გვ. 138-139.

⁶ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 61, 80.

⁷ გ. მელიქიძე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, დედანი აღადგინა და გამოკვლევა დაურთო პ. ინგოროყვამ, თბილისი, 1949, გვ. 119; „დავთარი“, III, იქვე.

⁸ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბილისი, 1949, გვ. 14.

⁹ იხ. „დავთარი“ I—9, 124; II—11, 125; III—171.

¹⁰ К. Киссерман, დასახელებული ნაშრომი, გვ. 14.

¹¹ იხ. აქვე ზემოთ, შენიშვნა 11.

შია აღნუსხული, იგი „ექვემდებარება ოცხეს“, ხოლო ოცხის ნაპიჯეში *كور* (=ქორთა)ს სახელით სოფელი არ არის. ამიტომ მე ვფიქრობ, ეს მოხაზულობა *كور* (ქორთა) კი არა, *گور* (გორა) უნდა ყოფილიყო. და მართლაც, „დავთარში“ ოცხის ნაპიჯეში მე-4 სოფლად აღწერილია სოფ. გორა (*گور*), რომელსაც ზუსტად იმდენივე, 18.600 ახჩა, გამოსალები აქვს შეწერილი. რამდენიც ჩვენი დოკუმენტის *گور* - ს¹. ცხადია, რომ ამ შემთხვევაშიაც ჩვენ საქმე გვაქვს გადამწერის უნებლიეთ შეცდომასთან; აქ უთუოდ სოფ. გორა იგულისხმება. ეს გორა სოფელი და აგრეთვე „დიდ დავთარში“ ათვე ოცხის ნაპიჯეში მე-16 პუნქტად აღნიშნული სოფ. ზადენი² „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ერთი სოფელია ორმაგი სახელით: „ხოლო ვითარცა შთავლობები ოძრახისა და მოვიდა საზღუართა სამცხისათა, დაივანა სოფელსა, რომელსა ეწოდების ზადენ-გორა“³. სოფ. გორას ჩვენ დრომდე არ მოუღწევია. XIX საუკუნეში შედგენილ რუსულ მსხვილმასშტაბიან რუკებზე აღნიშნულია P[азвалины] Д[еревни] Гора, Ур[очья] Гора. არქივის მასალებში გორა ზემოთ (აქვე შენიშვნა 12) აღნიშნულ სოფ. ხარჯამთან იხსენიება⁴. ერთ საბუთში გორა-ზე წერია: „Участок под названием -- пустошь „Гора“, спорный ранее между вазною и Атабековым Коблианским, ныне находится, по решению суда, в исключительном владении последнего“⁵.

14. ვაღისონი. ჩვენი დოკუმენტის მე-8 სოფლად აღრიცხული სოფ. ვაღისონი ახალციხის ლივან-ს უღის ნაპიჯესადმი დაქვემდებარებული პუნქტია. სწორედ ასეთ ადმინისტრაციულ ჩარჩოშია მოქცეული „დავთარის“ ვაღისონიც, რომელსაც როგორც ამ დოკუმენტში, ისე „დავთარშიც“ შეწერილი აქვს 16.500 ახჩა⁶. სოფ. ვაღისონს ჩვენამდე არ მოუღწევია. იგი ნასოფლარია ადიგენის რაიონში მოხე და დერცელ სოფლებს შუა⁷. არქივის მასალიდან ჩანს, რომ... пустошь Валисон владения Атабекова Коблианского⁸. ჩვენს დოკუმენტში *واليسون* სიტყვის დაწერილობაში მეხუთე *س* ასო გამოტოვებულია, მისთვის ხაზი სრულებით არაა გაგრძელებული (იხ. აქვე ფაქსიმილეში). მაგრამ ეს უთუოდ სტამბოლელი გადამწერის შეცდომაა და როგორც დაწერილობის ზოგადი მოხაზულობა, ისე სხვადასხვა მონაცემების სწორ ამოკითხულობაში არავითარ ეჭვს არ ტოვებს.

14. სუმუხთუბანი. ჩვენი საბუთის მე-9 სოფლის სახელი *صحن*-ია. რომელიც შეგვეძლო *صختان* (სუმუხთან)-ად ამოგვეკითხა. მაგრამ აქ მოხ-

¹ „დავთარი“, I—9, 120; II—11, 121.

² იქვე. I—9, 126; II—11, 128; III—173.

³ ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. I. გვ. 39.

⁴ სცია. ფ. 77, ს. 47, გვ. 4r.

⁵ იქვე. ფ. 223, ს. 5, გვ. 33v; იქვე. ფ. 47, ს. 75, გვ. 22v: უფრო ვრცლად ამის შესახებ იხ. „დავთარი“, III, გვ. 108.

⁶ „დავთარი“, I—7, 65; II—6, 69. III—95.

⁷ „დავთარი“, III—95.

⁸ სცია. ფ. 223, ს. 2, გვ. 8v.

სენებული უდის ნაჰიჯეში ასეთი რამ არ არის. სამაგიეროდ სწორედ უდეს დაქვემდებარებულ სოფლებს შორის „დავთარში“ 27 ე სოფლად აღწერილია სოფელი, რომლის სახელწოდების დაწერილობა ძლიერ ჰგავს აქ წარმოდგენილს. „დავთარში“ ამ ადგილას ჩვენ გვაქვს დიაკრიტიკულ ნიშნებიანი *صومختوبان*¹, რომელიც მეორე წიგნში სომეხთუბან-ად ანომიკითხავს², მაგრამ III წიგნზე ქუშაობის დროს შემხვედრია ერთი თურქული ნასყიდობის საბუთის რუსული თარგმანი, სადაც ამ პუნქტის სახელად დადასტურებულია *Сумухтыбань*³. უეჭველია, რომ თურქმა მოხელემ, რომელსაც შეიძლება ცუდად და გაურკვეველად დაწერილი მასალა ჰქონდა, აქაც შეცდომა დაუშვა. ამ მოსახრებას ამაგრებს ის გარემოებაც, რომ დოკუმენტისა და „დავთარის“ ამ სახელწოდების პუნქტს ორივეგან ერთი და იგივე რაოდენობის შემოსავალი აქვთ—13.700 ახჩა.

16. ზემო მოხე ქვემო მოხეთურთ. ექვემდებარება ახალციხეს. „ახალციხეში“ აქ იგულისხმება ახალციხის ლივან და უდის ნაჰიჯე; ასეა აღწერილი ეს სოფლები „დავთარშიაც“, სადაც მათგან შემოსავალი განსაზღვრულია 30.000 ახჩით, ე. ი. როგორც ჩვენს დოკუმენტში⁴. სოფელი მოხე აწინდელ ადიგენის რაიონში სასოფლო საბჭოს ცენტრია. რომელიც დერცელ, კეაოვან, კიკიბო, ნანნიაურ და ციხისუბან სოფლებს აერთიანებს⁵. ერთვერსიან რუკაზე *Moxe* გვაქვს. მ. ბროსესთანაც ამ სოფლის სახელი წარმოდგენილია ზუსტი ტრანსკრიფციით—*Mokhe*⁶. მოხე სახელწოდების შესახებ შეადეგი მინდა ვთქვა: ამ სიტყვის ბოლოკიდური ე ხმოვანი ამ დოკუმენტში ც-ით არის გამოხატული — *موخى*⁷ *عليا* და ასეთი წაკითხულობა სრულ შესაბამისობაშია სოფლის თანამედროვე სახელთან (არაბულ დამწერლობაში ძალიან ხშირად ე ხმოვანი ც-ით გამოიხატება). ახლა ჩვენ ვფიქრობთ, რომ „დავთარის“ ძირითად ტექსტში მოხე-ს იგივე ე ხმოვანი გადმოცემულია • — ასოთი (როგორც ეს აგრეთვე ჩვეულებრივად მიღებულია) და ამ خ-ს შემდეგ სხვა რომელიმე ასო აქ არ ჩანს⁸. რაც შეეხება „დავთარის“ ე. წ. საას. აქ კი უნდა იყოს *موخير* — მოხერა⁹, მაგრამ ეს მწერლის დაუდევრობასა და შეცდომას უნდა მიეწეროს. ამდენად „დავთარში“ გამოთქმული მოსახრება: „მოხერა“. ასეა „დავთარის“ მიხედვით. როგორ მივიღეთ თანამედროვე „მოხე“ „მოხერა“-საგან ძნელი სათქმელია¹⁰, უნდა მოიხსნას. ჩანს, რომ ამ სოფლის სახელი ისტორიულადაც მოხე იყო.

¹ იხ. „დავთარის“ დედანი-ხელნაწერი (ხელნაწერთა ინს-ტის თურქული კოლექცია, № 1). გვ. 69. აგრეთვე „დავთარი“, I—69.

² „დავთარი“, II—8, 72.

³ სცია, ფ. 223. ს. 8, გვ. 12: „დავთარი“, III—97.

⁴ იხ. „დავთარი“ I—7, 71; II—8, 74; III—98, 99.

⁵ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბილისი, 1949. გვ. 14.

⁶ M. Brosset. *Rapports sur un voyage...* II, გვ. 136.

⁷ შდრ. დედანი, გვ. 68.

⁸ შდრ. დედანი, გვ. 13. სტრიქონი, 6, № 31.

⁹ III, 98, 99.

17. ბეათ-ალ-მალ'ი თავდაპირველად სახელმწიფო ხაზინის დანიშნულებების დაწესებულება იყო ისლამურ სახელმწიფოებში (არაბ. ბეათ بيت 'სახლი', მალ مال 'ქონება', 'სიმდიდრე', 'საქონელი', 'ფული'; بيت المال 'სახლი სიმდიდრისა' 'საუნჯე' 'ხაზინა'). სახელმწიფოს ხელში მოხვედრილი ყოველგვარი სიმდიდრე (ზექნთი—1,40 ყველა მუსლიმის წლიური შემოსავლისა. ნადავლი, დაპყრობილი ქვეყნების ადგილ-მამულისა და ტყვეთაგან შემოსავალი და სხვ.) ბეათ-ალ-მალ'ში იყო დაცული. შემდეგში. როდესაც ოსმალური ხაზინა თავისი ფუნქციების მიხედვით დაუახლოვდა სახელმწიფო საფინანსო დაწესებულებას, ბეათ-ალ-მალის (თურქ. ბეათ-ულ-მალ) ფუნქციები შემოიფარგლა უმემკვიდრეოდ გარდაცვალებულთა და საერთოდ რაიმე მიზეზით უპატრონოდ დარჩენილ ქონებათა შემნახველ ორგანიზაციად.

სწორედ ასეთი დანიშნულების ინსტიტუტის გამოცხადება უთუოდ ქართულში ხმარებული „ბაითალმან-ი — ოხერი. ტიალი, უპატრონო“¹, ე. ი. ბაითალმან-ი იყო დაწესებულება, რომელიც უპატრონოდ დარჩენილ ქონებას იბარებდა და უვლიდა; აქედან „უპატრონო. ოხერი“. „ბაითალმან“-ში ბოლოკიდური ბაათ-ალ-მალ-ის ლ თანხმომავნი ქართულში ნ-ს გვაძლევს ისევე, როგორც ზაჰრ-უ-ნაო (სპ. زهر — 'შხამი' და სპ. مار 'გველი' — مار زهر) შესიტყვებამ ქართულში მოგვცა ზაჰრ-უ-მან-ი 'გველის შხამი').

ოსმალეთის სინამდვილეში ბეათ ულ მალი ორნაირი იყო: ბეათ-ულ-მალი ჰანსა და ბეათ-ულ-მალ-ი 'ამმე'—ე. ი. ბეათ-ულ-მალი სამეფო, სახელმწიფო და ბეათ ულ-მალი სახალხო, საზოგადო. ჩვენს დოკუმენტში ნახსენებია بيت المال عامه, ე. ი. სახალხო ბეათ-ულ-მალი. ეს იმას ნიშნავს, რომ სახალხო ბეათ-ულ-მალის შემოსავალი განეკუთვნება აქ დასახელებულ მეცამულეს სულემან ეს'ადს².

18. ჰასას (خاص), ჰასასა (خاصًا), ზა'იმ-ი (از عيم), ზე'ამეთ-ი (زعامت), თიმარ-ი (تيمار), თავისუფალი თიმარ-ი (سر بست تيمار), სიფაჰი (سپاهی) - ფეოდალურ ოსმალეთში სამხედრო-ლენური სისტემის სამიწათმფლობელო ტერმინებია. ოსმალთა იმპერიაში მიწა სახელმწიფო საკუთრებად ითვლებოდა. იგი ეძლეოდა დროებით მფლობელობაში ფეოდალებს, რომლებიც ვალდებული იყვნენ სამხედრო თუ სხვა ხასიათის სამსახური გაეწიათ სახელმწიფოსათვის. სახელმწიფოს მიერ სათანადო წესების დაცვით ფეოდალისათვის ბოძებულ ადგილ-მამულს საერთოდ თიმარ-ი ერქვა (تيمار - ს Redhouse - ი თვლის სპარსულ სიტყვად, რომელიც ნიშნავს 'მოვლას', 'მზრუნველობას', 'მომსახურებას' და სხვ.). თიმარ-ი რამდენიმე სახეობისა იყო: თ ი მ ი ვიწრო მნიშვნელობით ეს არის მცირე მოცულობის მამული, რომლის წლიური შემოსავალი არ აღემატება 20.000 ახჩას. უფრო მაღალი კატეგორიის მამულს ერქვა ზ ე ' ა მ ე თ - ი (ან ზი'ამეთი). ზე'ამეთის წლიური შემოსავალი 20.000 ახჩაზე მეტი იყო. ზე'ამეთზე უფრო დიდ

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. I. თბ., 1950, გვ. 953.

² იბ. Osmanli tarih deyimleri ve terimleri Sözlüğü, I: L. F e k e t e, Die siyâqat-schrift... I, გვ. 80-81.

ადგილ-მამულს ერქვა ხნსს - ი (სახასო), რომელსაც თავისი მფლობელისგან შეპოქონდა წელიწადში 100.000 და ნეტი ახჩა. ამ სახეობის ადგილ-მამულებიდან საკუთრივ თნმარი (აქ თნმარი ვიწრო გაგებით—20.000 ახჩა და ნაკლები შემოსავლიანი მაჰული) ებოძებოდა სიფჰჰ-ებს (სპ. سپاهی), რომელთაც უპირატესად საჭიროების დროს ცხენოსანი ლაშქრის გამოყვანა ევალეობოდათ. ზემოთი ეძლეოდა უფრო მაღალი თანამდებობის პირებს— ალაჰ-ბეგებს, თნმარის დეფთერდარებსა და ქეთხუდებს და სხვ. ზემოთის მფლობელს საერთოდ ზარი — عی ز ერქვა. ხნსს ი (სახასო) მამული სულთნების, სამეფო დინასტიის წევრების, უფლისწულების, ვეზირების, ბეგლარ-ბეგების, სინჯაყ-ბეგებისა და სხვათა მფლობელობაში იყო. ჩვენს დოკუმენტში იხსენიება აგრეთვე თავისუფალი თნმარი (სერბესთ თნმარ). თავისუფალი თნმარის მთელი შემოსავალი და გადასახადები მხოლოდ მისი მფლობელის განკარგულებაში იყო და ხაზინაში ასეთი თნმარიდან გადასახადი არ შედიოდა¹.

19. გამოსაღები پست و شق (post-i vaşak), რომელიც აქ სახალხო ხაზინის შემოსავალთან ერთად მიწერილი აქვს სახასო მამულის პატრონს, უნდა გააზრიანდეს ასე: „გამოსაღები ფოცხვერის ბეწვეულზე“, ან „ფოცხვერის ქურქზე“. გურჯისტანის ვილანეთის დიდ დავთარში² ერთ-ერთ გვიანდელ (1786 წ.) მინაწერში გვხვდება სწორედ ასეთი გამოსაღები, რომელიც მე მაშინ ნაწილობრივ და ისიც კითხვითი ნიშნით ნქონდა ამოკითხული (იხ. „დავთარი“. I, გვ. 262₃₁ და II, გვ. 257₃₇). ყოველ შემთხვევაში ერთი სიტყვის შირ-ად ამოკითხულობა სწორი არ არის. ახლა ხანს გამოსული ლიტერატურის მონაცემთა საფუძველზე ირკვევა, რომ პირველი پست სიტყვა post-ად უნდა წავიკითხოთ. სპარსული پست (post) — ეს არის „ცხოველთა ბეწვიანი ტყავი“. „ბეწვეული.. საერთოდ. Post — ცხოველის ტყავი, როგორც საგადასახადო ობიექტი ოსმალეთში ხშირად დასტურდება (Ö. L. Barkan-ის მიერ გამოცემულ კანუნ-ნამეთა კრებულში. სადაც დაკლული ცხვის, თხისა და სხვა ცხოველთა ტყავს დაბბლხანეში მიტანისას შეწერილი აქვს გარკვეული ოდენობის ბაეი“. ხოლო მეორე وشق სიტყვის მოხაზულობა უთუოდ وشق-ად უნდა წავიკითხოთ. რადგანაც vaşak სპ. „ფოცხვერს“ ნიშნავს. პროფ Halil Inalcik-ის მიერ გამოცემულ „დავთარში“ იხსენიება გადასახადი وشق و دلکو³ و شق و دلکو... داریندن⁴.

¹ L. Fekete. Die Siyâqat-schrift in der türkischen Finanzverwaltung. I. 101 და შემდგომ M. Z. Pakalın. Osmanlı tarih deyimleri ve terimleri sözlüğü, III. 177.

² M. L. Pakalın. Osmanlı tarih deyimleri... III. 779.

³ Ö. L. Barkan, XV ve XVI asırlarda Osmanlı İmparatorluğunda zırai ekonominin hukukî ve malî esaslar. I—Kânûnlar. სტამბოლი. 1943. გვ. 60. 147. 148. 166. 169. 188.

⁴ H. Inalcik. Hierî 835 tarihli sûret-i defter-i sancak-i Arvanid, Ankara. 1954. გვ. 123.

რიგად, როგორც ჩვენ მიერ გამოცემული „დავთრის“, ისე ამ დოკუმენტის ამ სახით უცნობი გადასახადი post-i vaşak — ‘ფოცხვერის ქურქი’ სწორად უნდა იყოს ამოკითხული.

20. შავი თამლა (تغای سیا — თამლა ი სიჲაჲ). ეს ტერმინი (შავი თამლა, შავი დალი) აღნიშნავდა გამოსაღებს, ბაჟს, რომლითაც ოსმალეთში იბეგრებოდა ბაზარში გაყიდული სავაჭრო საქონელი, იქნებოდა ეს ფართლელი, ჭურჭელი, ძვირფასი ლითონის ნაწარმი, ხილეული, ცხოველები (ცხენი, ხარი, ძროხა და სხვ.), დაკლული ცხოველის ხორცი და სხვ.¹ აკად. ვ. რადლოვს ჩამოთვლილი აქვს قيزيل تغه, آل تغه — ‘წითელი თამლა (დამლა)’, ‘ალისფერი თამლა’², მართალია ეს ბეჭდებისათვის, მაგრამ ბაზარზე გასაყიდ საქონელს შეიძლება სწორედ შავი ფერის დაღს ასვამდნენ და სხვა ბეჭდებისა და დაღებისაგან გამოსაყოფად მას ერქვა tamğa-i siyah. ვფიქრობ, მართალია პროფ. ლ. ფეკეტე, რომელიც „შავი თამლა“-ს უკავშირებს სტამბოლში ერთი ადგილის სახელს Qara gümrük ‘შავი საბაჟო’³. საერთოდ თამლა-ი სიჲაჲ-ად წოდებული გამოსაღები გაყიდულ საქონელზე ძველ ოსმალეთში ძლიერ გავრცელებული ტერმინი იყო, რომელიც გარდა „გურჯისტანის ვილაჲეთის დიდი დავთრისა“ გვხვდება აგრეთვე ყველა იმ კანონ-ნაშეში, რომელიც პროფ. ო. ლ. ბარკანმა გამოსცა⁴. ჰამერი ამ გადასახადს გერმანულად Stampeltaxe-ს უწოდებს⁵.

21. ბაზრის ზედამხედველობა — იჰთისაბ არაბ. حساب ← احتساب ‘თვლა’, ‘ანგარიში’, შემდეგ როგორც ტერმინი ‘თვალყურის მიდევნება იმაზე, რაც ანგარიშს საჭიროებს’ — ‘ბაზრის ზედამხედველობა’, ‘ბაზრის უფროსობა’, ‘ბაზრის წესრიგი’, Marktordnung. ძველ ოსმალეთში ბაზარში წესრიგის დამცველს ერქვა მუჰთესიბ-ი محتسب (احتساب-ის პარტიციპიული ფორმა), რომელიც ჩვენებურად (ბაზრის) „ზედამხედველს“, (ბაზრის) „უფროსს“, (ბაზრის) „ინსპექტორს“ უდრის (Marktrichter, рыночный полицмейстер). მუჰთესიბი თვალყურს ადევნებდა, რომ ყანდის მიერ დადგენილი ფასები (ნიარი)⁶ არ დარღვეულიყო, რომ გამყიდველს მყიდველი არ მოეტყუებინა წონასა და ზომაში⁷. მასვე ევალებოდა შარი‘ათის წესების დამრღვევთა გამოვ-

¹ M. Z. Pakalın. Osmanlı tarih deyimleri.. I, გვ 144: Monumenta turcica historiam slavorum meridionalium illustrantia. I. Kanuni i kanunname. Sarajevo, 1957, გვ 185. შდრ. „გურჯისტანის ვილაჲეთის დიდი დავთრის“ კანონთა წიგნის თავი მე-14. გვ. 4 (ქართული თარგმანი, წიგნი II).

² В. В. Радлов. Опыт словаря турецких наречий, III. სვეტი 1003.

³ L. Fekete, Die Sryāqat-schrift... I. გვ. 90.

⁴ Ö. L. Barkan - ის დასახელებული გამოცემა.

⁵ J. v. Hammer, Des osmanischen Reiches Staatsverfassung und Staatsverwaltung, ვენა. 1815. I. 250.

⁶ „როცა ნიხრი წესდება, ის ყანდია მეშვეობით წესდება“ (დავთარი“, II, გვ. 5).

⁷ „არასრული წონით გაყიდვის დროს, თითოეულ დირჩემზე ჯარიმად ერთი ახჩა უნდა აიღონ“, „ჯარიმა—1 ახჩა თითოეულ დირჩემზე—გადახდება ნაკლები წონით გამყიდველს დირჩემობით გასაყიდ ძვირფასიან ხივთზე“ („დავთარი“, II, გვ. 4,5).

ლინება და დასჯა. ჩვენი დოკუმენტი გულისხმობს ასეთ ღონისძიებათა შედეგად მიღებულ შემოსავალს, რომელიც მნიშვნელოვანი თანხა იყო და რომელიც ჩვენს შემთხვევაში სულთნის მიერ დაკანონებულია, რომ გადაეცეს მემამულეს — სულეიმან ესადს¹.

დოკ. მ. ლორთქიფანიძეს კარგად აქვს შესწავლილი და გარკვეული მუჭთასიბის ინსტიტუტი საერთოდ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში და მისი ძლიერ მკრთალი გამოძახილი საქართველოს სინამდვილეში². მართალია, როგორც ჩანს, ავტორი იმაშიც, რომ მუჭთასიბობა საქართველოში არაბობისდროინდელი ინსტიტუტია, რომელიც ქართულ საქალაქო წყობილებას დიდ ხანს ვერ შერჩა. მართლაც ჯერჯერობით მუჭთასიბობა დადასტურებულია მხოლოდ 1170 წლის მეფე გიორგი III-ის გუჯარში, რომელიც გაცემულია შიომღვიმის მონასტრისადმი³. ოღონდ აქ უურადლებას იქცევს ერთი გარემოება. ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემულ გიორგი III-ის გუჯარში ჩვენთვის საინტერესო სიტყვა იხსენიება მხოლოდ ერთ ადგილას, სადაც წერია: „...თავისუფალნი და უხარაჯონი საამიროისა, საამიდოისა, სარაისოისა, საგუსტასიბოისა და ყოვლისა სანუკვარისაგან“...⁴ თუ ჩვენ საგუსტასიბოი სიტყვას ქართულ პრეფიქს-სუფიქს სა-ო'ს ჩამოვაცილებთ, დაგვრჩება გუსტასიბი. რაც მ. ლორთქიფანიძის გამოკვლევაში გაიგივებულია მუჭთასიბთან. ყოველ შემთხვევაში მკითხველმა არ იცის ფორმალურად რა მიმართებაშია ეს ორი სიტყვა ერთმანეთთან. ამასთანავე ერთად ეს ორი სიტყვა ფონეტიკურად იმდენადაა ურთიერთისაგან დაშორებული, რომ მათ ერთიმეორის ფონეტიკურ ვარიანტად ვერ ჩავთვლით (მხედველობაშია სიტყვის ორი პირველი მარცვალი: გუსტა... || მუჭთა...). (მუჭთასიბ-ი, როგორც ზემოთ ვნახეთ, არაბული სიტყვაა, ხოლო გუსტასიბ-ი — უც-

¹ ამ საკითხს ჩვენ კიდევ დავებრუნდებით „დავთრის“ IV წიგნში. ლიტერატურა ამასზე არავალია: J. v. Hammer. Des Osmanischen Reiches Staatsverfassung... I, 161; A. A. Семенов. Бухарский трактат о чинах и званиях и обязанностях носителей их в средневековой Бухаре, „Советское востоковедение“ V. М.-Л., 1948. 140; M. Z. Palkalın. Osmanlı tarih deyimleri... I, 43. II, 572; L. Fekete. Die Siyāqat-schrift... I, გვ. 90 და სხვაგან; П. И. Петров, Бухарский мухтасиб в начале XX века. Проблемы востоковедения. I, Москва, 1959, стр. 139; История народов Узбекистана, Ташкент. 1950. I, 248; Вл. Гордлевский. Государство сельджукидов Малой Азии, М.-Л. 1941. 126; Спасет-намэ. Книга о правлении вазира 11 столетия Низам-аль-Мулька. Перевод, введение и изучение памятника и примечания проф. Б. Н. Заходера, М.-Л., 1949. 47, შენიშვნა 88; მ. ლორთქიფანიძე. ქალაქის მთხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. 30. თბილისი, 1954. გვ. 148-150 და სხვ.

² მ. ლორთქიფანიძე. იქვე.

³ „საქართველოს სიძველენი“. ტომი III. ე. თაყაიშვილის რედაქციით, თბილისი, 1910. ეს სტუთი გამოცემულია ამავე ტომის დამატებაში, თბილისი, 1926. გვ. 1-7.

⁴ იქვე. გვ. 5. აქ მოხსენებული სხვა ტერმინებიც შესწავლილი აქვს მ. ლორთქიფანიძეს დასახელებულ შრომაში.

ნობია (ხელმისაწვდომ ლექსიკონებში იგი არ აღმოჩნდა). ამდენად ჩვენ არ გვაქვს საბუთი ვთქვათ, რომ გუსტასიბ-მუჰთასიბი სხვადასხვა წარმომავლობის სიტყვაა. მაგრამ სინონიმებიანო. ამ გარემოებამ ჩვენ დაგვაექვა ქართული დოკუმენტის სათანადო ადგილის სწორად ამოკითხულობაში. გიორგი III-ის გუჯრის გადასინჯვამა და სათანადო ნაწილში დედნის დაწერილობაზე დაკვირვებამ, რაშიაც ჩვენ თავაზიანად დახმარება გაგვიწია პროფ. ილ. აბულაძემ, დაგვარწმუნა, რომ საბუთის დედანში უნდა წავიკითხოთ არა საგუსტასიბ-ოისა, არამედ სა-მუხტასიბ-ოისა. საქმე იმაშია, რომ საბუთის დამწერლობაში, მართალია, მ და გ ასო რამდენადმე ერთმანეთს ჩამოგვანან და არ არის გამორიცხული მათი აღრევის შესაძლებლობა, მაგრამ წინაშე შეიძლება დადგინდეს, რომ გ-ს თავი ყელთან უსათუოდ ჩაწეულია. რაც მ ასოს არა აქვს; გ-ს საქვედაო ნაწილი (რკალი) ფართოა. მეტი მოცულობისაა და გაცილებით ქვეითაა ჩაწეული, ვიდრე მ ასო. გარდა ამისა საბუთში ჩვენ დავებნეთ ორ ადგილას (სახელდობრ, სიტყვა სამუშაო) ისეთი შემთხვევა, სადაც მუ მარცვალ გვაქვს. მუ მარცვლის დაწერილობა ორთავე შემთხვევაში საესებით იდენტურია საგუსტასიბო-ში გუ-დ ამოკითხული მარცვლის დაწერილობისა. ამდენად ამ სიტყვაში ეგორე მარცვლად მუ უნდა იყოს და არა გუ. მუ მარცვლის მომდევნო ასო, მართალია, ჰგავს სასოს. მაგრამ ეს იმიტომ, რომ ამ დამწერლობაში ს და ხ ასოთა საერთო მოხაზულობა თითქმის ერთნაირია. ს და ხ ერთმანეთისაგან განსხვავებულია უმთავრესად პატარა სწორი ხაზით, რომელიც ხ ასოს ქვედა მოკაუჭებულ ნაწილს დასმული აქვს ზემოდან მარჯვნივ და ქვედა (მოკაუჭებულ) ნაწილისაგან იზოლირებულად. მართალია, ეს ხაზი ჩვენს შემთხვევაში არ არის, მაგრამ ეს კალმის შეცდომა უნდა იყოს. ამრიგად, მთლიანად ეს სიტყვა უნდა წავიკითხოთ სამუხტასიბოისა და არა საგუსტასიბოისა¹. რაც შეეხება ამ სიტყვის ხ და ტ ასოებს: არაბული ح (ჰ) ბგერა ქართულში ხ ბგერას გვაძლევს (ზღრ. حسن → ხასანი, حسين → ხუსეინი, احمد ახმედი და სხვ.). იმიტომ محتسب → მუხტასიბ-ი. მუხტასიბ-ში ტ თანხმოვანიც გადაქართულებულია. აღმოსავლური სიტყვების ფშვინვიერები ხშირად ქართულში ეკვეთრებით გადმოიციმიან: სპ.-თ. اوسته باشى — ustabaši → ქ. უსტაბაში. თურქ. baş ustüne → ქ. ბაშუსტა და სხვ. მრ.

22. ჯიზა — جزية სასულე გადასახადი (მაშაკაცებზე), რომელსაც მუსლიმურ ქვეყნებში იხდიდა არამუსლიმი მოსახლეობა. ჯიზას გადასახადიდან შემოსული თანხა თრმარისა და ზე'ამეთის მფლობელებს არ ეკუთვნოდა. იგი უშუალოდ სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა.

23. დედანში შეცდომით وخصيه წერია (დიაკრიტიკული ნიშნების გარეშე) სიძნაეთის დამწერლობის مر (م და ر) ასოები გადამწერს و (ვავ) ასოდ მიუღია, რაც, როგორც აშკარა შეცდომა, უნდა გასწორდეს. ჩვენი

¹ იხ. საბუთის დედანი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექცია Hd -- 1351.

დოკუმენტის სტამბოლელი გადაწერისათვის სიტყვა, ჩანს, უცნობი ყოფილა, რადგანაც ირკვევა, რომ ასეთი გამოსაღები შიდა ოსმალეთში მაინცდამაინც არ ყოფილა და ამ სიტყვას გამოსაღების მნიშვნელობით ლექსიკონებში ვერ ვხვდებით. გარდა იმისა, რომ „გურჯისტანის დიდ დავთარში“ გამოსაღები

مرخصیه (murahhasiyeye) შეწერილია თითქმის ყველა სოფლის მოსახლეობაზე (თითოეულ კომლზე 2 ახჩა)¹. ეს სიტყვა გვხვდება აგრეთვე ქართულ წყაროებშიც (მაგალითად): „ჯავახანის შვილი რო ზეულათ ამოეყვანათ და ამისი ხარჯიც დღეში თორმეტი მანეთი რუსები აძლევდნენ, ახლა მურახასისი უქნიათ...“, „მეფემან ირაკლიმ დაჭერილთა მურახასისი უყო და თავიანთ ქუცყანაში გაუშუა“, „ოდეს ღმერთმა ხელი მოუშართა. იქილამ დიდს კელმწიფეს შაჰნშას მურახასისი მიეცა და მშვიდობით ბატონ-ყმანი მოხვედით“². დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონზე მითითებით მურახასისი განმარტებულია „განტევა, გაშევა“³.

კანუნ-ნამეების ისეთი დიდი კრებულის მიხედვით, რომელიც პროფ. ო. ლ. ბარკანმა გამოსცა სტამბოლში 1943 წ.⁴, ამ გამოსაღების გავრცელებულობა ძლიერ შეზღუდულია. مرخصیه აქ გვხვდება მხოლოდ სამჯერ და ისიც ისეთი მხარეებისათვის, სადაც არამუსლიმი მოსახლეობაა (ქართველები, სომხები): 1) ო. ლ. ბარკანის მიერ 1570 წლით დათარიღებულ „გურჯისტანის კანუნნამე“-ში مرخصیه (კომლზე ორი ახჩა), რომელსაც გამომცემელი, ვფიქრობ უმართებულოდ, marhasiyeye'-დ კითხულობს⁵. 2) არზრუმის ვილნაეთის კანუნნამეში იხსენიება marhasiyeye akçesi⁶. ამ გამოსაღებთან დაკავშირებით აქ დასახელებულია აგრეთვე مرخصیه لركه قره بشلر دمكله معروفر. აქ მოხსენებული ვანქის მონასტრების მიხედვით ეს სიტყვა مرخصیه კი არა مرخصه murahhasa უნდა იყოს, რადგანაც იგი قره بشلر - karabaş სიტყვითაა განმარტებული, ხოლო karabaş - ი 'ბერი, სომეხთა ეპისკოპოსი' და მისთანებია⁷. შანს-ედ-დინ სანინ-საც مرخصه — murahhasa - ს შესატყვისად უწე-

¹ იხ. „დავთარი“ I და II (თბილისი. 1947 წ., 1941 წ.).

² ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკონომიური ისტორიისათვის. II. გვ. 297; ე. თაყაიშვილი. „კვინკლოსები“ (ცალკე ამონაბეჭდი). გვ. 49; „საქართველოს სიძველენი“, III. გვ. 457.

³ მამისა ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკონომიური ისტორიისათვის. დანართი, თბილისი. 1957 წ., გვ. 28.

⁴ (O. L. Barkan - ის დასახელებული ნაშრომი.

⁵ იქვე. გვ. 199.

⁶ იქვე. გვ. 69.

⁷ لجه عثمانی — 626; Belin. Extrait d'un voyage de Paris à Erzerum. JA. XIX. პარიზი. 1852, გვ. 368.

რია *ارمنى سقبو سى* 'სომეხთა ეპისკოპოსი' *وان مرخصه سى*¹⁾ და 3) *مهرحاصيه* ანის კანტონშია *مرحاصيه*, რომელიც წაკითხულია *merhasiye*-დ (*merhasiye akçesi*)²⁾. შემოაღნიშნული *مرحاصيه* სიტყვა ყველას ამ შემთხვევაში *murahhasiyye*-დ უნდა იყოს და არა *marhasiyye* - *marhasiye* - *merhasiye*, როგორც ეს სამნაირად აქვს წაკითხული გამომცემელს. ამ საინტერესო საკითხზე უფრო ვრცელ ცნობებს ჩვენ წარმოვადგენთ „დავთარის“ IV წიგნში.

24. ბად-უ ჰავა — *بادهوا* (სპ. *باد* 'ქარი', არაბ. *هوا* 'ჰაერი, ჰავე', 'ქარი და ჰაერი'). მ. ფაქალინის მიხედვით გამოსაღები ბად-ი ჰავენს ფეოდალურ ოსმალეთში იხდიდნენ ის მოქალაქეები, რომლებიც ვაჭრობას ეწეოდნენ³⁾. რა თქმა უნდა, ეს განმარტება სიმართლეს არ ასახავს; განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ახლა, როდესაც ბად-უ ჰავეზე ჩვენ ხელთ გვაქვს ვერა მუტაფჩიევის სპეციალური გამოკვლევა, რომელშიც უსათუოდ ანგარიშგასაწევი დასკვნებია მიღებული⁴⁾. ჩვენ გვექნება შემთხვევა ამ საკითხს უფრო დაწვრილებით შევხებით: ამიტომ აქ მოკლედ მოგახსენებთ ავტორის (მუტაფჩიევის) დასკვნებს: ბად-უ ჰავე ცალკე და დამოუკიდებელი გამოსაღები არაა. ამ სახელით გაერთიანებულია გადასახადთა მთელი კატეგორია. გამოსაღებთა ამ კატეგორიისათვის ტიპურია გადახდის არააერიოდულობა, არარეგულარობა. ამ კატეგორიის გადასახადი შემთხვევითია, მაგალითად: საქორწინო გადასახადი⁵⁾, ჯარიმა რაიმე დანაშაულის ჩადენისათვის და ბოროტმოქმედებისათვის, გადასახადი ნაპოვნ ცხოველებზე, გაქცეულ ყმებზე, დაკარგულ ნივთებზე და სხვ.

თურქოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 25. 1. 1960)

С. С. Джикия

Турецкий документ XVIII века об Окрос-Цихе

Резюме

Предлежащая статья посвящается турецкому фирману, данному султаном Мустафой (1757-1774) в 1758 году Сулейману Әс'аду (по всей видимости, одному из представителей местных владетельных князей

¹ *قاموس تركي* — გვ. 1323.

² Ö. L. Burkan, იქვე, გვ. 341.

³ M. Z. Pakalin, *Osmanlı tarih deyimleri...* III, 29.

⁴ W. P. Mutafčijeva, *O osman'skiej kategorii podatkowej „bād-u havā“ (XV-XVI w.). Przegląd orientalistyczny, № 3 (27), ვარშავა, 1958, გვ. 305-311.*

⁵ სხვათა შორის, „გურჯ. ვილ. დიდ დავთარში“ ბად-უ ჰავე თითქმის ყველგან საქორწინო გამოსაღებთანაა ნახსენები (იხ. „დავთარი“ I და II).

Коблианских атабагов) для закрепления за ним права владения большим поместьем в окрестностях Окрос-Цихе (=Алтувкала; в настоящее время недалеко от центра Адигевского района Груз. ССР) в качестве „юртлуга и оджаклыка“. Такая форма наделения феодалов поместьями, свободными от несения обычных обязанностей тимара, применялась в завоеванных Турцией странах. Документ имеет значение для изучения социальных отношений в Южной Грузии того времени, а также вопросов истории грузино-турецких взаимоотношений.

Основной текст документа писан почерком дивани-джелиси, а в одной своей части, где дан перечень поместий и разных статей дохода, почерком „сийъват“, которые, особенно последний, считаются весьма неудобочитаемым письмом.

Издание документа представляет интерес и как материал для изучения истории турецкого языка, турецкой палеографии и дипломатии. Труд снабжен примечаниями, вкратце поясняющими специфическую социально-экономическую терминологию и географическую номенклатуру текста документа.
